გამწვანების პროექტი

TASHUB

საპროექტო ტერიტორია: ქ. თბილისი, ვარკეთილი, III მასივი, ნაკვეთი N 20/25 ს.კ:01.19.20.020.077;
მესაკუთრე: შპს "ვარკეთილი დიველოფმენთ"
საერთო ფართი: 30205 კვ.მ
N3 (სამშენებლო) ნაკვეთის ფართი: 4984 კვ.მ
კ-3= 1500 კვ.მ (0,3)
შემსრულებელი: შპს "ტასჰაბი"



topografiuli gegma

misamarTi: q. Tbilisi, masivi III
(nakv. 20/025)

nakveTi #3----- 4984kv.m.

nakveTi #1
3449 kv.m

nakveTi #2
4474 kv.m

nakveTi #3
4984 kv.m

nakveTi # 6
4638 kv.m

nakveTi #7
2974 kv.m

nakveTi #9
97 kv.m

nakveTi #5
2260 kv.m

nakveTi #4

490250

4615500

SeniSvna: miwis samuSaoebi SeaTanxmeT Sesabamis komunikaciis warmomadgenlebTan

SeniSvna: topografiuli naxazze xazovani nagebobebi datanilia registrebuli monacemebidan

pirobiTi aRniSvnebi		nakveTis sazRvari	Robe-navTulbade	transformatori	i.m. `giaSioSvili~	
kanalizacia	bučqi	Senoba	xis Robe	radio - telefonia		
denis kabeli	gazoni	arka	bordiuri	lampionebi	Seasrula	g. SioSvili
gazis mili	sameTvalyureo Webi	farduli	betoni	eleqtro boZi	direqtori	g. SioSvili
wylis mili	Sadrevani	kibe	kedeli	rkinigza	1:500	19.07.2019w.
kavširgabmuloba	onkani	vazi	sayrdeni kedeli	izolirebuli sadenZlebi		
	wyaro anWa	foTlovani xe	biliki	SuqniSani		
	benzingasamarTi sadguri	wiwvovani xe	gzis konturi	sagzao niSani		
	maRali Zabvis gadamceni	xexilis xe	flate			
		palma				


471.515
471.6082
471.3678
471.5027
471.18
471.5312
470.5
470.706
470.632
470.446
470.236
470.109
470.279
470.285
470.186
469.905
469.947
469.882
469.99
469.588
469.631
469.436
469.497
469.726
469.502
469.407
469.366
469.248
469.213
468.691
468.318
468.23
468.518
468.64
468.3
468.13
468.275
467.963
nangrevi
წარმოსახვითი შენობის კონტური

№ 21

11 აგვისტო 2019 წ.

დ ა ს კ ვ ნ ა

მწვანე ნარგავების (მერქნიანი ხე-მცენარეების) სახეობრივი მდგომარეობის, ხარისხობრივი შეფასების და გადარგვის შესახებ

2019 წლის 11 აგვისტოს მისამართზე: ქ. თბილისი, მასივი III , ნაკვეთი N N20/25-ის ტერიტორიიის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: 01.19.20.020.077), განაშენიანების რეგულირების გეგმის დაყოფის მიხედვიით ნაკვეთი N 3-ზე, რომლის ფართობია 4 984 მ², ხოლო მესაკუთრე შ.პ.ს ,,ვარკეთილი დიველოფმენთ" (ID: 405323699), მეტყევე-სპეციალისტის გიორგი კაპანაძის მიერ (მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების დასკვნის გამცემი უფლებამოსული პირი, ექსპერტი) შემოწმდა მწვანე ნარგავების სახეობრივი მდგომარეობა და გაკეთდა მათი ხარისხობრივი შეფასება.

ტერიტორიაზე განლაგებულია სულ 39 ძირი ფოთლოვანი მწვანე ნარგავი, მათ შორის 17 ძირი ხილ-კენკროვანი.

დამკვეთს, სურვილი აქვს მოჭრას მიწის ნაკვეთზე არსებული 8 ძირი მწვანე ნარგავი, მათ შორის 3 ძირი ხილკენკროვანია (N6, N13 და N17), 3 ძირი ხმობადი (N 14, N16 და N37), 1 ძირი ზეხმელი (N38) და 1 ძირი ჯირკვზე ამონაყრითი მწვანე ნარგავი (N12). აგრეთვე გადარგოს იმავე საკადასტრო კოდზე 5 ძირი (N5, N10, N11, N15 და N18) მერქნიანი ხე-მცენარე.

ხის დიამეტრის, სიმაღლის, ფესვთა სისტემის და მიწის გრუნტის გათვალისწინებით გამოყენებული უნდა იყოს სპეციალური ტექნიკით გადარგვა N5, N11 და N15 ხისათვის. პირველ ეტაპზე უნდა ამოითხაროს ორმო, რომელშიც ჩაირგება გადასარგავი ხე-მცენარე. ორმოს სიმაღლე და სიგანე უნდა იყოს იმ ზომის, რომ ხე-მცენარე ძალიან თავისუფლად ეტეოდეს ორმოში. ხე უნდა გადაიბელოს ისეთ სიმაღლეზე, რომ შეუნარჩუნდეს ვარჯების საკმარისი რაოდენობა შემდგომი სასიცოცხლო ფუნქციის შენარჩუნებისთვის და გაგრძელებისთვის. ექსკავატორის საშუალებით მოითხრება მიწა გადასარგავი ხე-მცენარეების გარშემო ისეთი სიდიდით, რომ მათი ფესვთა სისტემა და განსაკუთრებით მთავარი ფესვი არ დაზიანდეს. ეს კი მიღწევადია, ხის გარშემო მიწის მოთხრით ხის ფესვის ყელიდან 50 – 90 სმ–ის რადიუსით (დამოკიდებულია ხის დიამეტრის სიმსხოზე). ექსაკავატორის ე.წ. „კოვშის" საშუალებით ხე აწეული უნდა იქნას მაღლა, რომ ძირითადი ფესვი (და დამატებითი ფესვებიც) წაეჭრას. ასევე მოხდეს ამ ფესვებისა და მიწის, რომელიც ფესვებს გაყვება შეკვრა ერთმანეთზე გადაკერებული (წინასწარ ტომარას გაამზადებენ საჭირო ზომისას) ტომრებით, ხოლო ტომრებს შეკრავენ მსხვილი ბაწრით. ვინაიდან ხე გადასარგავია გვერდით ტერიტორიაზე (დაახლოებით 20-25 მეტრის მანძილზე), ხეს ძირიდან ასწევენ ექსკავატორის ე.წ. „კოვშის" საშუალებით, იმის

გათვალისწინებით, რომ ხემ წონასწორობა შეინარჩუნოს (ეს აუცილებელი პირობაა გადატანის დროს). საჭიროა ხის ვარჯის ძირში შემოეკრას რეზინის ან კაუჩუკის ფურცლები (რომ არ დაზიანდეს ხის ღერო) და ამწეს (გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ხის წონა მიწიანად შესაძლებელია იყოს 1,0 – 2.5 ტონა, ამიტომ ამწეს ტვირთამწეობა უნდა იყოს არა ნაკლები 5 ტონა) ჯალამბარის გამოყენებით ვერტიკალურ მდგომარეობაში აიწიოს და გადატანილ იქნას სპეციალურად მომზადებულ ორმოში, სადაც ხის ჩარგვამდე უნდა ჩაისხას ზრდის სტიმულატორი „რაანი“ 1 – 2 ლიტრი, ჩაისხას 30 – 40 ლიტრი წყალი და ტომრებიანად ჩაისვას ორმოში ვერტიკალურ მდგომარეობაში. მიწის ჩაყრის დროს პერიოდულად მიწა უნდა დაიტკეპნოს (მუდმივად ამ პროცესის მიმდინარეობისას ყურადღება მიექცეს იმ გარემოებას, რომ ხემ ვერტიკალური მდგომარეობა შეინარჩუნოს). შემდგომში აუცილებელია შეირჩეს პასუხისმგებელი პირი, რომელიც პასუხისმგებელია, რომ ხე–მცენარე რეგულარულად მორწყას. პირველი ერთი კვირის მანძილზე დღეში ორჯერ – დილას და საღამოს 20-30 ლიტრის ოდენობის წყლის დასხმით სპეციალურად მოწყობილ ჯამში (მიწის შემაღლებული ფენა, რომელიც ხე–მცენარის ფესვის ყელის გარშემო იქნება შემოვლებული – წვიმიან ამინდშიც კი). მომდევნო ერთი კვირის მანძილზე კიდევ 10-15 ლიტრამდე ოდენობის წყლის დასხმით დილაობით. გადარგული ნარგავის მოვლის (რწყვა და მიწის გაფხვიერება) სამუშაოები უნდა გაგრძელდეს გაზაფხულზეც და შემდგომი 3 წლის განმავლობაში. განსაკუთრებული მოვლა დასჭირდება ზაფხულის ცხელი დღეების პერიოდში, დილით ადრე ან საღამოს დაბინდებამდე.

მარტივი გადარგვა ანუ სპეციალური ტექნიკის გამოყენების გარეშე გადარგვას ექვემდებარება N10 და N 18-ე ხე-მცენარე. მარტივი გადარგვის წესით გადარგვა მოხდება უფლებამოსილი ორგანოს ზედამხედველობით დამკვეთის მიერ შერჩეულ ადგილზე აგროტექნიკური პირობების დაცვით. მერქნიანე მცენარეების სიმაღლის, დიამეტრის და ფესვთა სისტემის გამომდინარე, ამ ხეების ფესვის ყელის ღეროს გარშემო წრიულად 30 - 50 სმ-ის რადიუსით ნიადაგი მოითხრება იმგვარად, რომ არ დაზიანდეს ნარგავის ფესვთა სისტემა. ზედმეტი პატარა ამონაყრისაგან განთავისუფლდეს გადარგვამდე ხე-მცენარე, ისე რომ ქერქი არ დაზიანდეს. ორმოს სიღრმე იქნება იმ ზომის გათვალისწინებით, რომ ფესვთა სისტემა მიწის კომთან ერთად უნდა იყოს ნარგავის სიმაღლის მესამედი. გადარგვა უნდა მოხდეს გათხრილ ორმოში იმ პირობით, რომ ორმოს სიგანე და სიღრმე უნდა იყოს საკმარისი, რომ გადარგული ნარგავის ფესვები თავისუფლად ჩაეტიოს ორმოში. გადარგვამდე ორმოში უნდა ჩაისხას წყალი, რომ მიწა გაიჟიჟოს წყლით. სასურველია მიწაში ჩაიყაროს ორგანული სასუქების ნაზავი და ჩაისხას ზრდის სტიმულატორი „რაანი“. ხე-მცენარის ჩარგვის შემდეგ ის უნდა გამაგრდესხის ხის არ რკინის ბოძებით, რომ ქარმა არ წააქციოს. გადარგვიდან ერთი თვის განმავლობაში რეგულარულად უნდა მოირწყას, გაუფხვიერდეს მიწა ღეროს გარშემო, გაუკეთდეს ჯამი წყლის (წვიმის წყლისთვისაც) შესაკავებლად. გადარგული ხე-მცენარეების მოვლის (რწყვა და მიწის გაფხვიერება) სამუშაოები უნდა გაგრძელდეს გაზაფხულზეც და შემდგომი 3 წლის

განმავლობაში. განსაკუთრებული მოვლა დასჭირდება ზაფხულის ცხელი დღეების პირობებში, დილით ადრე ან საღამოს დაბინდებამდე უნდა მოირწყას იმ ანგარიშით, რომ ყოველი ხე-მცენარის ნიადაგმა ცალ–ცალკე ერთი ვედროს (10-30 ლიტრი) ოდენობის წყალი შეიწოვოს. მიწის გაფხვირება და სარეველა ბალახებისაგან გასუფთავება უნდა მოხდეს როგორც გაზაფხულზე, ასევე შემოდგომით. გამხმარი ან ენტო ან ფიტო მავნებლით დაზიანებული ტოტები მოიჭრას და ხე-მცენარეები შეიწამლოს.

დანარჩენ ხე-მცენარეებს (N1, N2, N3, N4, N7, N8, N9, N19, N20, N21, N22, N23, N24, N25, N26, N27, N28, N29, N30, N31, N32, N33, N34, N35, N36 და N39 დამკვეთი ამ ეტაპზე ადგილზე ტოვებს.

ცხრილში მოცემულია ქ. თბილიში, მასივი III, ნაკვეთი N N20/25-ის ტერიტორიის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: 01.19.20.020.077) ხე-მცენარეების სახეობები, ფიზიკური მდგომარეობა და დიამეტრები მიწის ზედაპირიდან 10 სმ სიმაღლეზე:

ცხრილი N 1

ხის №	მერქნიანი სახეობა	დიამეტრი მიწის პირიდან 10 სმ-ზე	ხის მდგომარეობა	შენიშვნა
1	2	3	4	5
1	თეთრი აკაცია- Robinia pseudoacacia	8,12	ჯანსაღი	ნაბელი, ამონაყრითი 2ც.
2	თეთრი აკაცია- Robinia pseudoacacia	24	ჯანსაღი	ჯირკვზე ამონაყრითი, 2 ც
3	ჩვეულებრივი იფანი - Fraxinus excelsior	4,6,9,10,12	ჯანსაღი	ამონაყრითი, 5ც
4	ჩვეულებრივი იფანი - Fraxinus excelsior	4, 4, 5, 8,12	ჯანსაღი	ჯირკვზე ამონაყრითი, 5ც
5	თუთა - Morus	4, 4, 5, 16,20, 24, 24, 28	ჯანსაღი	ამონაყრითი, 8ც, ექვემდებარება გადარგვას
6	ტყემალი- Prunus ssp	4, 4, 6,12	ზეხმელი	ხილკენკროვანი, ამონაყრითი 4ც
7	თუთა - Morus	8, 12, 16,16,28	ჯანსაღი	ამონაყრითი, 5ც
8	ჩვეულებრივი იფანი - Fraxinus excelsior	22	ჯანსაღი	ნაბელი

9	თეთრი აკაცია- Robinia pseudoacacia	4, 4, 4, 4, 6, 6,12	ჯანსაღი	ჯირკვზე ამონაყრითი, 7ც
10	საპნის ხე- Sapindus	2,4	ჯანსაღი	ამონაყრითი, 2ც, ექვემდებარება გადარგვას
11	საპნის ხე- Sapindus	14	ჯანსაღი	ღეროს მექანიკური დაზიანება, ექვემდებარება გადარგვას
12	თუთა - Morus	12,12, 16, 24, 24, 32	ჯანსაღი	ჯირკვზე ამონაყრითი, 6ც. არ ექვემდებარება გადარგვას
13	ლეღვი- Ficus carica	4, 4, 6, 20, 24, 28,28,32	ხმობადი	ხილკენკროვანი, ჯირკვზე ამონაყრითი, 8ც
14	ამერიკული ნეკერჩხალი-Acer americana	4, 4, 4, 8, 12, 16	ხმობადი	ამონაყრითი, 6ც
15	ჩვეულებრივი იფანი - Fraxinus excelsior	21	ჯანსაღი	ამონაყრითი, ექვემდებარება გადარგვას.
16	ჩვეულებრივი იფანი - Fraxinus excelsior	2, 2, 2, 2, 5, 8, 8, 12	ხმობადი	ამონაყრითი, 8ც
17	ლეღვი- Ficus carica	8, 8, 8, 12,12, 12,15,16, 18,18, 24,24, 32,32	ჯანსაღი	ხილკენკროვანი, ამონაყრითი, 14ც
18	კორპის თელა - Ulmus suberosa	2, 2, 2, 2, 6,6, 6, 8, 8, 8,12	ჯანსაღი	ამონაყრითი, 11ც
19	თუთა - Morus	4, 4, 8, 10, 16	ჯანსაღი	ამონაყრითი, 5ც
20	კაკალი - Juglans regia	16.5	ჯანსაღი	
21	თუთა - Morus	4, 4, 4, 6, 6,8	ხმობადი	ამონაყრითი, 6ც
22	წნორი - Salix alba	20, 32	ჯანსაღი	ამონაყრითი, 2 ც
23	ლეღვი- Ficus carica	4,4,4,6,6,8,8,8,12, 12,12,12,16,16, 24,24,24,28,28	ჯანსაღი	ხილკენკროვანი, ამონაყრითი, 19ც
24	ლეღვი- Ficus carica	4,4,4,10,10,10,10, 16,16,16,16,20,20,20, 20,20,24,24,24,24,24, 28,28,28	ჯანსაღი	ხილკენკროვანი, ამონაყრითი, 24ც
25	თუთა - Morus	8,10,16,24,24	ჯანსაღი	ამონაყრითი, 5ც
26	ლეღვი- Ficus carica	8,8,12,16,24	ჯანსაღი	ხილკენკროვანი, ამონაყრითი, 5ც

27	ლეღვი- Ficus carica	16,28,40	ჯანსაღი	ხილკენკროვანი,ამონაყრითი, 3 ც
28	კავკასიური აკაკი- Celtis caucasica	8,8,10,12,16, 26,28	ჯანსაღი	ამონაყრითი, 7ც
29	ლეღვი- Ficus carica	12,12,16,16,24,24, 28,28,32,32,36	ჯანსაღი	ხილკენკროვანი, ამონაყრითი, 11 ც
30	თუთა - Morus	12,18,34,40	ჯანსაღი	ამონაყრითი, 4ც
31	თუთა - Morus	4,4,8,8,12,16, 22,24,32	ჯანსაღი	ამონაყრითი, 9ც
32	თუთა - Morus	8,20,24,36,36 40	ჯანსაღი	ამონაყრითი, 6ც
33	თუთა - Morus	4,4,6,6,6,24,36	ჯანსაღი	ამონაყრითი, 7ც
34	თუთა - Morus	8,8,8,8,8,10,10,10, 12,12,16,16,34,36	ჯანსაღი	ამონაყრითი, 14ც
35	ლეღვი- Ficus carica	8,8,10,10,12,16, 16,20	ხმობადი	ხილკენკროვანი, ამონაყრითი, 8ც
36	თეთრი აკაცია- Robinia pseudoacacia	4,4,4,4,4,4,5,5,5, 6,10,12,12,12	ჯანსაღი	ამონაყრითი, 14ც
37	თეთრი აკაცია- Robinia pseudoacacia	4,4,4,6,6,6, 8,8	ხმობადი	ამონაყრითი, 8ც
38	კანადური ვერხვი - Populus deltoides	25	ზეხმელი	
39	კავკასიური აკაკი- Celtis caucasica	16	ჯანსაღი	

მწვანე ნარგაობის (მერქნიანი ხე-მცენარეების)დასურათება მისი ნომერაციის მიხედვით:

1. თეთრი აკაცია



2. თეთრი აკაცია



3. იფანი



4. იფანი



გ. კაკაბაძე

5. თუთა



6. ტყემალი



7. თუთა



8. იფანი



გ. კ.

9.თეთრი აკაცია



10. საპნის ხე



11. საპნის ხე



12. თუთა



13. ლელვი



14.ამერიკული ნეკერჩხალი



15. იფანი



16. იფანი



17. ლეღვი



18.კორპის თელა



19. თუთა



20. კაკალი

21. თუთა



22. ტირიფი



23. ლელვი



24.ლელვი



გ. კაკაური

25. თუთა



26.ლელვი



27. ლელვი



28. კავკასიური აკაკი



29. ლეღვი



30.თუთა



31. თუთა



32. თუთა



33. თუთა



34. თუთა



35. ლეღვი



36. თეთრი აკაცია



გ.კაკაე

37. თეთრი აკაცია



38. კანადური ვერხვი



39. კავკასიური აკაკი



გ. კასიე

ხეების ვიზუალური დათვალიერება განახორციელა გიორგი კაპანაძემ, რომელიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 28 ივნისის N 1-369 ბრძანებით დარეგისტრირდა გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მონაცემთა ბაზაში მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასებაზე დასკვნის გამცემ უფლებამოსილ პირად.

დანართი:3გვ დაCD დისკი.

შემსრულებალი გიორგი კაპანაძე

მეტყევე-ექსპერტი: Tel: 593 102844

ელ. ფოსტა: Giokapana14@gmail.com 595 00 00 49

განმარტებითი ბარათი

საპროექტო ტერიტორია: ქ. თბილისი, ვარკეთილის III მასივი, ნაკვეთი N20/25, ს.კ: 01.19.20.020.077;

ტერიტორიის საერთო ფართია 30205 კვ.მ, განასენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით, ტერიოტია დაყოფილია რამდენიმე ნაკვეთად, აღნიშნული გამწვანების პროექტი შეეხება N3 ნაკვეთს, რომლის ფართობი 4984 კვ.მ-ა. კ-3 კოეფიციენტის ათვისების ფარტობი 1500 კვ.მ-ა.

ტერიტორიაზე იჭრება 8 ძირი (#6,#13,#17,#23,#24,#26,#27,#35) ხილკენკროვანი ნარგავი.

5 ძირი, ზეხმელი და ხმობადი მწვანე ნარგავები (#12, #14, #16, #21,, #38) მოიჭრება საკომპენსაციო რგვის ვალდებულებით, სანაცვლოდ დაირგვება 5 ძირი 3.5 მ. სიმარლის მინდვრის ნეკერჩხალი.

ტერიტორიაზე იგეგმება 5 ძირი (#5, #10, #11, #15, #18)მწვანე ნარგავის გადარგვა, 3 წლიანი მოვლა პატრონობის ვალდებულებით.

ასევე, ახალი გამწვანებული სივრცის მოსაწყობად იგეგმება 10 ძირი მინდვრის ნეკერჩხლის, 10 ზირი იაპონური სოფორასა და 10 ძირი იფანის დარგვა, ყველა ამთგანის სიმაღლე 3.5 მ. ხოლო გარშემოწერილობა 20 სმ იქნება.



დასარგავი სახეობა	აღწერილობა	რაოდენობა
მინდვრის ნეკერჩხალი	გვალვა გამძლე სწრაფად მზარდი	10 ძირი
მინდვრის ნეკერჩხალი საკომპენსაციო რგვის	გვალვა გამძლე სწრაფად მზარდი	5 ძირი
ჩვეულებრივი იფანი / კოპიტი	გვალვა გამძლე სწრაფად მზარდი	10 ძირი
იაპონური სოფორა	გვალვა გამძლე სწრაფად მზარდი	10 ძირი

პირობითი აღნიშვნები:

შესანარჩუნებელი ხეები

გადასარგველი ხეები

საკომპენსაციოდ დასარგავი ხეები

დასარგავი ფოთლოვანი ხეები

(3) მცენარის ნომერი ექსპლიკაციაში

საპროექტო ტერიტორია:
ქ. თბილისი. მასივი III.
ნაკვეთი: 20/25
ს.კ:01,19,20,020,077

ტერიტორიის მესაკუთრე:
შპს "ვარკეთილი დიველოპმენთი"
ს/კ:405323699

პროექტის შემსრულებელი:
შპს "ტასჰაბი"
დირექტორი:
ს. გიორგაია

ნაკვეთის საერთო ფართი:
30205 კვ.მ
ნაკვეთი N3-ის ფართობი:
4984 კვ.მ

ნაკვეთი N3-ის კ-ი:
1500 კვ.მ (0,3)

გადაირგვება 7 ხე.
ნარჩუნდება სულ 30 ხე.
იჭრება 9 ხილ-კენკროვანი.
საკომპენსაციოდ ირგვება 5 ხე
ახალი გამწვანებისათვის 30 ხე.

TASHUB

WWW.TASHUB.GE

დასარგავ მცენარეთა ექსპლიკაცია

N	სახეობა	აღწერილობა	რაოდ ენბა	ვიზუალიზაცია
1	მინდვრის ნეკერჩხალი Acer campestre	სიმაღლე 3.5 მ გარშემოწერილობა 20 სმ, გვალვაგამძლე სწრაფად მზარდი	10 ძირი	
2	საკომპენსაციოდ დასარგავი მინდვრის ნეკერჩხალი Acer campestre	სიმაღლე 3.5 მ გარშემოწერილობა 20 სმ, გვალვაგამძლე სწრაფად მზარდი	5 ძირი	

3	იაპონური სოფორა (ნამყენი) Sophora japonica	სიმაღლე 3.5 მ გარშემოწერილობა 20 სმ, გვალვაგამძლე სწრაფად მზარდი	10 ძირი	
4	ჩვეულებრივი იფანი, კოპიტი Fraxinus excelsior	სიმაღლე 3.5 მ გარშემოწერილობა 20 სმ, გვალვაგამძლე სწრაფად მზარდი	10 ძირი	

დენდროლოგიური პროექტის საინფორმაციო დაფა

დამკვეთი: შპს "ვარკეთილი დიველოფმენთ"

ქ. თბილისი, ვარკეტილის III მასივი, ნაკვეთი: N20/25 ს.კ:01,19,20,020,077

ნებართვის გამცემი ორგანო : ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის სააქალაქო სამსახური .

კ-3= 1500 კვ.მ (4984 კვ.მ/0,3) ნაკვეტი N3

დენდროლოგიური პროექტის შეთანხმების თარიღი :

დენდროლოგიური პროექტის დასრულების თარიღი : 2022 წელი







დასარგავი: 15 ძირი მინდვრის ნეკერჩხალი (აქედან 5 ძირი საკომპენსაციო), სიმაღლე 3,5 მ. გარშემოწერილობა 20 სმ.
10 ძირი იაპონური სოფორა, სიმაღლე 3,5 მ. გარშემოწერილობა 20 სმ.;
10 ძირი ჩვეულებრივი იფანი (კოპიტი), სიმაღლე 3,5 მ. გარშემოწერილობა 20 სმ.
გადასარგავი 7 ძირი მწვანე ნარგავი,
ტერიტორიაზე შესანარჩუნებელი 30 ძირი მწვანე ნარგავი.
ტერიტორიაზე ღია გრუნტი დაიფარება ბალახის საფარით.

ახლადდარგულ ხე მცენარეების მოვლაზე პასუხისმგებელი პირი :
შპს "ვარკეთილი დიველოფმენტი"

ახლადდარგული ხე მცენარეების მოვლის ხანგრძლივობა : 3 წელი

დიდი დიამეტრის მქონე მწვანე ნარგავების გადარგვის ტექნიკური რეგლამენტი

გადასარგავი ხე, **თუთა (morus)**, ერთ ჯგუფად 8 ამონაყარი, დიამეტრი ფესვის ყელიდან 10 სმ-ზე: 4 სმ, 4 სმ, 5 სმ, 16 სმ, 20 სმ, 24 სმ, 24 სმ, 28 სმ. **ექვემდებარება გადარგვას.** ხე ჯანსაღი და კარგად განვითარებულია, ამონაყრები განთავსებულია მჭიდროთ, მათი ფესვთა სისტემა გადაჯაჭვულია ერთმანეთზე და ფესვის ყელი ებჯინება ერთმანეთს. ამონაყრების ჯგუფური განლაგებიდან გამომდინარე დაუშვებელია მათი განცალკევება, ვინაიდან გამოიწვევს ფესვთა სისტემის დაზიანებას და მის გარდაუვალ გახმობას.

მდებარეობა: ქ. თბილისი, ვარკეთილი მასივი III , ნაკვეთი N20/25-ის ტერიტორიის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: 01.19.20.020.077).

ზოგადი ნაწილი (აღწერა)



▪ ფესვი - ძირითადი ვეგეტატიური ორგანო, რომლის ფუნქციებს შეადგენს წყლისა და მასში გახსნილი მინერალური ნივთიერებების შეწოვა ნიადაგიდან, მცენარის მიმაგრება ნიადაგზე და ორგანული ნივთიერებათა სინთეზი, ხშირად ფესვი სამარაგო ნივთიერებების სათავსსაც წარმოადგენს და ვეგეტატიურ გამრავლებასაც ემსახურება. ფესვი იყოფა ორ ნაწილად: მთავარღერძიანი და ფუნჯა;

▪ ღერო - ერთ-ერთი ძირითადი ორგანო, რომელიც ფოთლებთან ერთად ყლორტს შეადგენს. აქვს საყრდენი, მიმწოდებელი და დამგროვებელი ფუნქცია.

▪ ვარჯი - ხის ტანის მიწის მიწისზედა განშტოება;

▪ ფოთოლი - მცენარეთა ორგანო, რომელიც ასრულებს ფოტოსინთეზისა და ტრანსპირაციის ფუნქციებს, ახორციელებს აირცვლას გარემოსთან და მონაწილეობს მცენარის ცხოველმოქმედების სხვა პროცესებში.

ნიადაგის მომზადება

დასარგავი ორმოს სიდიდე დამოკიდებულია მცენარის გაბარიტებზე და ასაკზე, სარგავის ორმოს სიგრძე და სიგანე 90 სმ-ით, ხოლო სიღრმე 20-25 სმ-ით მეტი უნდა იყოს ხის კომზე. კომსა და კედლებს შორის სივრცე უნდა შეივსოს ნაყოფიერი ნიადაგის ნაზავით. სარგავი ორმოს ფსკერი უნდა გაფხვიერდეს 10-15 სმ სიღრმეზე, შემდგომ კი მოხდეს 20-25 სმ სისქის ნაყოფიერი ნიადაგის შეტანა. ორმო უნდა დამუშავდეს ფუნგიციდითა და ინსექტო აკარიციდიებით, რათა არ მოხდეს გადარგული ხის სოკოვანი დაავადებებით ან/და პარაზიტებით დაზიანება.

ხის გადარგვის პროცესი

გადარგვის დაწყებამდე უნდა მოხდეს ხის სხვლა-ფორმირება, რათა გადარგვის შემდეგ აქტიურად დაიწყოს ფესვთა სისტემის გაძლიერება. გასხვლის დროს ხის ვარჯს მთლიანად უნდა მოსცილდეს ხმელი და ხმობადი ტოტები, ხოლო ჯანსაღი ტოტების სიგრძე უნდა დამოკლდეს. ვინაიდან ვარჯი მოიხმარს ხის მიერ მიღებული საკვები ნივთიერებების უდიდეს ნაწილს, გასხვლის შემდეგ ეს ნივთიერებები ღეროსა და ფესვთა სისტემაზე გადანაწილდება, რაც ხელს შეუწყობს მათ ზრდა-განვითარებას.

ხის ვარჯის გასხვლის შემდეგ, გადასარგავი ხის (მრავალღეროიანი თუთა N5 დიამეტრით 4 სმ დან 28 სმ-მდე) გარშემო მიწის ფენის მოჭრა მოხდება **JCB**-ს ტიპის სპეცტექნიკით. ხის გადარგვა მოხდება შეკრული მიწის კომით (გაბარიტები: 2.0X2.0/1.0), კომის შემოჭრის შემდეგ უნდა მოხდეს ჰორიზონტალურად განვითარებული ფესვების სხვლა. ამოღებული ხის კომის გადატანამდე კომი ხის კონტეინერში შეიფუთება. ვინაიდან ნარგავი მრავალღეროიანია, ხის კონტეინერი უზრუნველყოფს მათი განცალკევების პრევენციას, რომ არ დაიშალოს მიწის ფენა და არ მოხდეს ფესვთა სისტემის გაშიშვლება.აღნიშნული ხის (თუთა) გადარგვა ხდება იმავე ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, ვარკეთილი მასივი III , ნაკვეთი N20/25-ის ტერიტორიის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: 01.19.20.020.077). მიწის კომის შეფუთვის შემდეგ, კონტეინერის გადაადგილება მოხდება ავტო-ამწეს საშუალებით, კონტეინერისა და ღეროს დაფიქსირებით (დაბმა), რაც მრავალნაცადი და ეფექტურად გამოყენებადია ხეების გადარგვისას. (იხ. სურათი) .



გადაადგილებული ხის ახალ ორმოში განთავსების შემდეგ, ორმო უნდა ამოივსოს ნაყოფიერი მიწით და უნდა მოხდეს ფესვის ყელის გარშემო ჯამის გაკეთება. გადარგული ხის ღეროს უნდა შემოეხვიოს ჯვალოს ნაჭერი და თოკებით 3 ადგილას მიწაში სობილ რკინის პალოზე უნდა დაებას, რათა შეინარჩუნოს სიმყარე. (იხ. სურათი)



გადარგვის დასრულების შემდეგ, ხის გარშემო შემოჭრილი ჯამიდან უნდა მოხდეს მორწყვა, 20-25 ლიტრი წყლით. გადარგვიდან პირველი ორი კვირის მანძილზე ხის მორწყვა უნდა მოხდეს კვირაში ორჯერ, ორი კვირის შემდეგ შესაძლებელის მისი მოწყვა კვირაში ერთხელ, სასურველის სეზონის მიხედვით სარწყავ წყალს დაემატოს საკვები ნივთიერებები N.P.K-ს შემცველობით, ან წყალში ხსნადი ბიოსტიმულატორი.

გადარგვის ტექნიკური რეგლამენტი შეადგინა გიორგი კაპანაძემ, რომელიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 28 ივნისის N 1-369 ბრძანებით დარეგისტრირდა გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მონაცემთა ბაზაში მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასებაზე დასკვნის გამცემ უფლებამოსილ პირად.

შემსრულებალი:

მეტყევე-ექსპერტი, **გიორგი კაპანაძე**

Tel: 593 102844

595 00 00 49

ელ. ფოსტა: Giokapana14@gmail.com

ხელმოწერა: _____;

მომსახურების ხელშეკრულება

ქ.თბილისი 18.09.2019

ხელშეკრულების მხარეები:

ერთი მხრივ **შპს „ვარკეთილი დიველოფმენთ“** (საიდენტიფიკაციო კოდი: #405323699), (შემდგომში მოხსენიებული, როგორც `დამკვეთი''), წარმოდგენილი მისი დირექტორის **დიმიტრი ადამიას** (პირადი #01024028596) მიერ და მეორე მხრივ, **შპს ~არქი დიღომი“** (ს/ნ: 405225037) (შემდგომში მოხსენიებულნი როგორც `შემსრულებელი'') წარმოდგენილი დირექტორის **თენგიზ წულაია-ს** (პ/ნ: 37001018394) მიერ, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. შემსრულებელი კისრულობს ვალდებულებას, ქ.თბილისის მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ ხე-მცენარეების მოჭრისა და გადარგვის შესახებ გაცემული ნებრთვის შესაბმისად უზრუნველყოს შემკვეთის მიერ მითითებულ მიწის ნაკვეთზე ს/კ: 01.19.20.020.077, უფლებამოსილი პირის, ექსპერტ - გიორგი კაპანაძის (პ/ნ 38001006370) მიერ შემუშავებული მწვანე ნარგავების სახეობრივი, ხარისხობრივი შეშეფასების შესახებ და გადარგვის ტექნიკური რეგლამენტის შესახებ დასკვნის და შპს „ტასჰაბის“-ს მიერ შემუშავებული გამწვანების პროექტის შესაბამისად, შემდეგი სამუშაოების განხორციელება (შემდგომში „სამუშაო“):

1.1.1. იმავე საკადასტრო კოდზე გადარგოს ობიექტზე არსებული და მერიის მიერ განსაზღვრული ხე-მცენარეები;

1.1.2. მოჭრას ობიექტზე არსებული და მერიის მიერ განსაზღვრული ხე-მცენარეები; ასევე მოახდინოს მათი დაკოტვრა და ობიეტქზე დასაწყობება;

1.1.3. ტერიტორიის გასუფთავება მოჭრილი ტოტებისგან;

1.2. მხარეთა შორის სამუშაოს შესრულება დასტურდება მირება-ჩაბარების აქტით;

მუხლი 2. მხარეთა უფლებები და მოვალეობები.

2.1. შემსრულებელი ვალდებულია:

2.1.1. ხარისხიანად და დროულად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

2.1.2. შემსრულებელი იღებს ვალდებულებას ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) წლის განმავლობაში ნებისმიერ დროს დამკვეთის მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოს სამუშაოთა წარმოება ერთიანად ან ნაწილ-ნაწილ;

2.1.3. შემსრულებელი ვალდებულია დამკვეთის მოთხოვნის შემთხვევაში წარადგინოს დოკუმენტაცია ან/და ინფორმაცია ნაწარმოები სამუშაოების შესახებ;

2.1.4. შემსრულებელი ვალდებულია ტერიტორიაზე სამუშაოები აწარმოოს უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვით;

2.1.5. შემსრულებელი ვალდებულია სამუშაოების შესრულებისას გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის შემთხვევაში გამოასწოროს იგი საკუთარი სახსრებით;

2.1.6. შემსრულებელი ვალდებულია სამუშაოთა წარმოება დაასრულოს დაწყებიდან მაქსიმუმ 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში;

2.2. შემსრულებელი უფლებამოსილია:

2.2.1. მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს ანაზღაურება;

2.2.2. მოითხოვოს ქ. თბილისი მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ გაცემული დოკუმენტაცია ხეების მოჭრასა და გადარგვაზე თანხმობის შესახებ;

2.2.3. მოითხოვოს ნებისმიერი ინფორმაცია ობიექტის და მასზე არსებული ხე-მცენარეების შესახებ, წინასწარ სამუშაოთა დაწყებამდე;

2.3. დამკვეთი ვალდებულია:

2.3.1. აწარმოოს ანაზრაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით;

2.3.2. შემსრულებელს გაუგზავნოს შეტყობინება სამუშაოების დაწყების შესახებ სამუშაოთა დაწყების თარიღამდე ერთი კვირით ადრე;

2.3.3. შემსრულებელს სამუშაოთა დაწყებამდე მიაწოდოს დოკუმენტაცია ხე-მცენარეების მოჭრისა და გადარგვის ნებართვების შესახებ;

2.3.4. უზრუნველყოს ტერიტორიაზე შესასვლელ გზაზე შესაბამისი უსაფრთხოების და მოძრაობის წესების დაცვისათვის განკუთვნილი დოკუმენტაციის მომზადება (ნებართვების აღება, საგზაო ნიშნების დამონტაჟება და სხვა) საჭიროების შემთხვევაში;

2.4. დამკვეთი უფლებამოსილია:

2.4.1. მოსთხოვოს შემსრულებელს სამუშაოს ნაწილ-ნაწილ შესრულება მაგრამ არაუმეტეს სამუშაოს 2 (ორ) ნაწილად შესრულებისა;

2.4.2. შეამოწმოს სამუშაოს მიმდინარეობა ნებისმიერ დროს და მოითხოვოს შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენა, ხოლო ნაკლის შემთხვევაში მოითხოვოს ნაკლის გამოსწორება;

მუხლი 3. სამუშაოს ღირებულება

3.1. სამუშაოს ღირებულება განისაზღვრება 10 000 (ათი ათასი) ლარით (გადასახადების ჩათვლით). (შემდგომში „ანაზრაურება“).

3.3. ანგარისშწორება წარმოებს ორ ეტაპად: პირველ ეტაპზე მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ გამწვანების პროექტის შეთანხმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში მოხდება ანაზრაურების 50%-ის გადახდა, ხოლო დარჩენილი ნაწილის გადახდა მოხდება სამუშაოს სრულად დასრულების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

3.4. ანგარიშსწორება მხარეთა შორის განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, გადახდის დღეს არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით.

მუხლი 4. მხარეთა პასუხისმგებლობა.

4.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მხარეებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

4.2. დამკვეთის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების გადახდის პირობების დარღვევის შემთხვევაში მას შემსრულებლის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ანაზღაურების 0,1% ის ოდენობით;

4.3. შემსრულებლის მიერ სამუშაოს შესრულების ვადების გადაცილეის შემთხვევაში მას დამკვეთის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ანაზღაურების 0,1% ის ოდენობით;

4.4. შემსრულებლის მიერ გადარგვის პროცესში ხე-მცენარეების დაზიანების შემთხვევაში ან/და ტერიტორიაზე დარგული ან შენარჩუნებული ხეების დაზიანების შემთხვევაში, იგი ვალდებული იქნება დაზიანებული ხე-მცენარის გახმობის შემთხვევაში ახალი ნარგავით ჩაანაცვლოს გამხმარი მცენარე, ხოლო მერიის უფლებამოსილი სამსახურის მიერ ჯარიმის აქტის გამოცემის შემთხვევაში ჯარიმის თანხა სრულად დაეკისრება შემსრულებელს.

4.5. შემსრულებლის მიერ უსაფრთხოების ნორმების დაუცველობის შედეგად დამდგარ ზიანზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება შემსრულებელს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამგავრ ქმედებას დაჟინებით მოითხოვდა დამკვეთი.

მუხლი 5. Fფორს-მაჟორი.

5.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ნაწილობრივ ან სრულ შეუსრულებლობაზე, იმ შემთხვევაში, თუ ეს იყო გამოწვეული რაიმე გადაულახავი მიზეზით, კერძოდ, ისეთით როგორიცაა: დივერსია, ეპიდემია, მეწყერი, მიწისძვრა ან მსგავსი სხვა ისეთი მოვლენები, რომლებიც შეიძლება მიჩნეულ იქნან ფორს-მაჟორული გარემოების მქონედ, მხარე თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან ფორს-მაჟორული მოქმედების მთელი დროის მანძილზე.

მუხლი 6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები.

6.1. წინამდებარე ხელშეკრულება იურიდიულ ძალას იძენს მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ნაკისრი ვალდებულებების სრულ შესრულებამდე.

6.2. დამკვეთი უფლებამოსილია ცალმხრივად, ვადამდე მოშალოს ხელშეკრულება, თუ შემსრულებლის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხი არ შეესაბამება მხარეთა მიერ დადგენილ პირობებს.

6.3. შემსრულებელი უფლებამოსილია ცალმხრივად, ვადამდე მოშალოს ხელშეკრულება, თუ დამკვეთი 10 დღით გადააცილებს ანაზრაურების რომელიმე ნაწილის გადახდის ვალდებულებას;

6.4. მხარეთა მიერ ხელსეკრულების მოშლის სხვა საფუძვლები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. Dდავების გადაწყვეტის წესი.

7.1. მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება სასამართლოს მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები.

8.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად, რომელთაგან თითო გადაეცემათ მხარეებს.

8.2. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დანართი და ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებული ყველა დამატება წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს და თან ერთვის მას.

8.3. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება და/ან დამატებას იურიდიული ძალა ექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი გაფორმდება წერილობით და ხელმოწერილი იქნება ორივე მხარის მიერ.

8.3. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება და/ან დამატებას იურიდიული ძალა ექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი გაფორმდება წერილობით და ხელმოწერილი იქნება ორივე მხარის მიერ.

8.4. წინამდებარე ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელ ურთიერთობებზე ვრცელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა.

9. მხარეთა იურიდიული მისამართები, რეკვიზიტები და ხელმოწერები:

დამკვეთი:

შემსრულებელი: